ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისებისათვის"
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში
გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის ,,დ.ა" ქვეპუნქტის, „ე" ქვეპუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის --- იანვრის №----------მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის ,,სპეციალური სერვისებისათვის" (საიდენტიფიკაციო ნომერის №412704612) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, 22 (ოცდაორი) ერთეული ნაგვის კონტეინერისა (მწარმოებელი ქვეყანა: რუმინეთი, GRADINARIU IMPORT EXPORT SRL) და 22 (ოცდაორი) ერთეული ნაგვის კონტეინერის შევსების ინდიკატორის (სენსორი) (მარკა: ULTRABAT03, მწარმოებელი ქვეყანა: საქართველო, მწარმოებელი: შპს I GPS ოპერატორი) გადაცემის თაობაზე. მოძრავი ქონების საერთო ღირებულება შეადგენს 96 998.00 (ოთხმოცდათექვსმეტიათას ცხრაასოთხმოცდათვრამეტი) ლარს.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისების" (საიდენტიფიკაციო ნომერის №412704612) მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონება, გამოყენებულ იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
,,სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ,
თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს და მათი განხორციელების ძირითად ასპექტებს, ასევე განსაზღვრავს ქონებრივი საკითხების რეგულირების სამართლებრივ მექანიზმებს. მოცემული აქტით, მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა სათანადო განხორციელების მიზნით უფლებამოსილი არიან დააფუძნონ და მართონ კერძო სამართლის იურიდიული პირები და ამ მიზნით გადასცენ მათ ქონება, კანონით დადგენილი წესით.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT230006964) შედეგების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა (შემდგომში ,,შემსყიდველი") და შპს ,,სიმარჯვეს" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") შორის, 2023 წლის 20 აპრილს გაფორმდა №189 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლითაც პროექტის - მერები ეკონომიკური ზრდისათვის - ,,MAYORS FOR ECONOMIC GROWTH FACILITY (M4EG)", (პროექტის ნომერი 00133169) ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა 22 ნაგვის კონტეინერი და 22 ნაგვის კონტეინერის შევსების ინდიკატორი (სენსორი). მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წერილობითი მომართვის (N03-4424009133 09/01/2024წ) თანახმად, მომწოდებელი კომპანიის მიერ მოხდა შესყიდული საქონლის მოწოდება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლის მიზნობრივი გამოყენების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია მოხდეს მისი თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადაცემა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისებისათვის".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი